# აღმოსავლური წარმოშობის ზოგიერთი სიტყვის განმარტება

(შეადგინა პროფ. ს. ჯიქიამ)

**არზა** 207,1 (არაბ.) წერილობითი თხოვნა.

**აფენდი** 203,1 (ბერძნ.-თურქ.) ბატონი (აქ სულთანი).

**ალაჯი** 243,2 (თურქ.) სიგრძის საზომი ერთეული (6—7 კილომეტრი).

**აჯამი** 109,4 (არაბ.) აჯამ-ირანელი, სპარსული.

**ბაირახტარი** 228,2 (თურქ.-სპ.) მებაირაღე, მედროშე.

**გიდი** 135,4 (სპ.-თურქ.) გაიძვერა, არამზადა; შორისდებულად იხმარება მცირე მუქარისა და შემოწყრომისას.

**დაბანჩა დამბაჩა** 153,3 (თურქ.) ფიშტო, მოკლე თოფი.

**ემრი** 182,2 (არაბ.-თურქ.) დიდი მოხელე, ბეგი.

**ზავალი** 128,3 (არაბ.) დაღუპვა, დაცემა, დაქვეითება, ბრალი, უბედურება.

**ზერდაგი** 85,2 (სპ.) ჩალის ფერი ცხენი.

**იახტანი** 147,4 ხურჯინი.

**კაიკ** 202,3 (თურქ.) ნავი საერთოდ; „ჩამსვა კაიკსა ნავშია" ე. ი. ჩამსვა ნავში, რომელსაც თურქები „კაიკს" ეძახიან, ანდა: ჩამსვა თურქულ კაიკში.

**კანჯარი** 67,4; 148,4 გარეული ვირი.

**მათარა** 154,4 (არაბ.) პატარა სამგზავრო წყლის ჭურჭელი.

**მაშია** 276,4 (თურქ.) მეშის ფეხსაცმელი.

**მემანდარი** 25,1; 182,1; 185,2; 189,2; 190,1 (სპ.) მესტუმრე, მესტუმრეთუხუცესი, სასახლეში სტუმრების მიმღები პირი.

**მუდმალი** 203,1 (არაბ.-თურქ.) მუთბალი (და შემდეგ ალბათ, მუდმალი, სამზარეულო (აქ, სულთანის, აფენდის, სამზარეულო).

**მურასა** 26,2; 237,1; 239,1 (არაბ.) ძვირფასი ქვებით შემკული.

**რაყამი** 20,1; 23,1; 25.1 (არაბ.) სამეფო სიგელი, სამეფო ბრძანება (წერილობითი).

**ღარიბი** 287,4 (არაბ.) უცხოეთში გადახვეწილი მარტოხელა, მოგზაური, მოხეტიალე (შდრ. ყარიბი).

**ყათარი** 99,2 (არაბ.-თურქ.) საპალნის ცხოველთა (ცხენის, აქლემის, ჯორის) რიგი, წყება.

**ყათლანი** 155,3 (არაბ.) ხოცვა-ჟლეტა, მასიური ხოცვა.

**ყულარაღასი** 88,2 (თურქ.) ყულის ანუ იანიჩართა ჯარის მეთაური (ოფიცერი).

**ყული** 20,1; 54,3; 162,2; 168,2 (თურქ.) მონა, მსახური; იანიჩარი, ყულის ჯარისკაცი.

**ჩოხადარი** 168,2 (სპ.) ჩოკადარ-ოსმალეთში სულთნის სასახლის მსახური, რომელიც სასახლის გარეშე საქმეებს ასრულებს.

**ჩოხადარ-ბაში** 202,1 ჩოხადარების უფროსი.

**ჰარამ** 14,4 ჰარამ (არაბ.) ის, რაც ალალი არ არის; არამი; რელიგიით აკრძალული; ის, რაც კაცს არ შეერგება (შდრ. ალალი (არაბ.) ჰალალ).